

8  
5-985

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია  
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული  
ლიტერატურის ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

გოჩა ნოდარის ძე კუჭუნიძე

გრიგორ განმაცხატლებლის ცხრვრების  
ერთი პრაგმატიკული გერსია და ქართველია  
მოქადაგდება საპიტიო

10.01.01 ქართული ლიტერატურა  
10.01.06 მახლობელი აღმოსავლეთის  
ქვეყნების ხალხთა ლიტერატურა

ავტორეფერატი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის  
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი  
1999

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა  
აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის  
ინსტიტუტის მფლი ქართული ლიტერატურის განყოფილებაში.

#### სამეცნიერო ხელმძღვანელები:

1. ფილოლოგიის მეც. დოქტ.  
პროფ. რევაზ ბარამიძე
  2. ფილოლოგიის მეც. კანდ.  
დოც. თანა მარგველაშვილი
- ექსპერტები: 1. ფილოლოგიის მეც. დოქტ.  
ნინო მახათაძე
2. ფილოლოგიის მეც. დოქტ.  
რუსუდან გვარამია

#### ოფიციალური ობიექტები:

1. ფილოლოგიის მეც. დოქტ.  
პროფ. რევაზ სირაძე
2. ფილოლოგიის მეც. დოქტ.  
ნესტან სულავა
3. ფილოლოგიის მეც. დოქტ.  
პროფ. ნანა ფურცელაძე



#### წამყვანი ორგანიზაციები:

1. სულხან – საბა თრბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
ბეჭდაგოური უნივერსიტეტი
2. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გიორგი წერეთლის  
სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი  
დისერტაციის დაცვა შედგება 1999 წლის „მეტადის 14<sup>th</sup> სა  
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის  
ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს / რ10.01.C №3 / სხდომაზე“.

მისამართი: თბილისი 380008, გ. კოსტავას ქ.№5

დასერტაციის გაცნობა შეიძლება შოთა რუსთაველის სახელობის  
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა 1999 წლის „მეტადის 14<sup>th</sup> სა  
სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდგარი,  
ფილოლოგიის მეც. დოქტ. ე. სამირალი  
ამინან არაბული

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა და მიზანი: წმიდა გრიგორ  
განმანათლებლის ცხოვრების აკად. ნ. მარის მიერ სინას მთაზე 1902  
წელს წმიდა ეკატერინეს მონასტერში აღმოჩენილი არაბული ტექსტი  
შეიცავს არაერთ საინტერესო ცნობას, რომელიც ქართლის, ლაზიკისა  
და ალანების მოცევას შეეხება. ხენებული ნაწარმოების მიხედვით,  
ქართლის, ლაზიკისა და ალანების სამეფო ხელისუფლებას  
გაქრისტენების გადაწყვეტილება სომხეთა მომაქცეველ – წმიდა  
გრიგორ განმანათლებლისა და სომხეთის მეფე თრდატის უშუალო  
ზემოქმედების შედეგად მიუღია. მსგავსი ცნობები, იმ განსხვავებით,  
რომ მასში აღანების ნაცვლად აღბანებზეა ლაპარაკი, მოიძოვება  
წმიდა გრიგორის ცხოვრების ბერძნულ ვერსიაში, რომელიც, პროფ.  
უერარ გარიტმა ლათინურ თარგმანთან ერთად გამოსცა 1946 წელს.  
არაერთი მეცნიერი, ძირითადად სომხურ ისტორიოგრაფიაში,  
უმეტესწილად სწორედ ზემოხსენებულ არაბულ და, ასევე, ბერძნულ  
ძეგლებს ეყრდნობა ხოლმე, როცა ქართლის მომაქცევლად წმიდა  
გრიგორს მიჩნევს და არა – წმიდა ნინოს, როცა აცხადებს, რომ  
ქართლის ეპლესია თავდაპირველად იერარქიულად სომხეთის  
საეკლესიო კათედრას ექვემდებარებოდა.

როგორც ვიცით, ქართული, ასევე, ბერძნულ-ლათინური  
ძეგლები, აგრეთვე მოგხეს ხორენაციის ნაწარმოები „სომხეთის  
ისტორია“ ქართლის მომაქცევლად წმიდა გრიგორის არ მიიჩნევს, ამ  
ძეგლების შესწავლის შედეგად მკვლევართა უმეტესობას ეჭვი არ  
შეაქვს საკითხში, რომ ქართლის მომაქცეველი იყო წმიდა ნინო და  
არა – წმიდა გრიგორ პართელი.

თემა აქტუალურია, – საჭიროა, რომ კიდევ ერთხელ იქნას  
შესწავლილი ის ძეგლები, რომელიც კავკასიის ქვეყანათა მოცევას  
შეეხება, რათა გაირკვეს, რომელია ურთიერთგამორჩიული  
შეხედულებათაგან სწორი და რომელი – მცდარი. მეცნიერთა შორის  
არ არის თანხმობა არც იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ როგორია  
გრიგორ განმანათლებლის „ცხოვრებათა“ ციკლის გენებლოგიური  
ტაბულა, რომელი ნაწარმოები რომლიდან მომდინარეობს. ჩვენ, ამ  
მიმართებით, უძირველესად არაბული ძეგლის შესწავლა დავისახეთ